



[RSS](#)

ძიება

ფასი – 1000 დოლარიდან
3 წლიანი უპროცენტო ბანკადებით
597 87 07 07



- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
- [ეკონომიკა](#)
- [ტექნოლოგიები](#)
- [სამართალი](#)
- [კომენტარი](#)
- [კულტურა](#)
- [საზოგადოება](#)
- [ბლოგები](#)

[Home](#) / [ახალი ამბები](#) / რას სთავაზობენ პოლიტიკური პარტიები ამომრჩეველს გარემოს დაცვის კუთხით

Like 16

0

Tweet 0

2012.09.18

რას სთავაზობენ პოლიტიკური პარტიები ამომრჩეველს გარემოს დაცვის კუთხით

[ეკოლოგია](#), [არჩევნები 2012](#),
მანანა ქველიაშვილი
გაზეთი ბათუმელები

ამავე თემაზე:

[ამომრჩეველებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა საარჩევნო პროგრამებში უნდა გაიზარდოს თუ არა მდიდრებისთვის გადასახადი რა ადგილს იკავებს კულტურა პარტიების საარჩევნო კამპანიაში სოფლის მეურნეობა - რეალური პრიორიტეტი თუ საარჩევნო პიარ-სტრატეგია? რა შეიძლება შეიცვალოს თავდაცვის სისტემაში არჩევნების შემდეგ ვინ დაიცავს გარემოს?](#)

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში 16 პოლიტიკური პარტია მონაწილეობს. „ბათუმელები“ დაინტერესდა, კერძოდ, რას სთავაზობენ პოლიტიკური პარტიები ამომრჩეველს გარემოს დაცვის

კუთხით.

კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების“ მიერ გამოქვეყნებულ საარჩევნო პროგრამაში გარემოსდაცვითი სფერო ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებადაა მიჩნეული.

წინასაარჩევნო პროგრამის თანახმად, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში „ქართული ოცნება“ მოსახლეობას პირდება, რომ გარემოს დაცვის სამინისტროს უფლებამოსილებას გაზრდის და უზრუნველყოფს ქვეყნის მიერ ნაკისრი გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულებას.

გარემოსდაცვის შესახებ არაფერია ნათქვამი მმართველი პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთგვერდიან საარჩევნო პროგრამაში. „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის, მარიამ მეტურიაშვილის თქმით, მმართველი

პარტია ახლა მუშაობს ვრცელ პროგრამაზე და ის უახლოეს ხანში გახდება ცნობილი საზოგადოებისათვის. მან უფრო ვრცელი განმარტებისთვის გარემოს დაცვის ყოფილ მინისტრთან, გოგა ხაჩიძესთან გადაგვამისამართა.

„2012 წელს მთავრობამ დაამტკიცა გარემოს განვითარების დაცვის სტრატეგიული გეგმა, 4-წლიანი პროგრამა - ნეაპი, რომელიც არის მაღალი ლეგიტიმაციის დოკუმენტი. მასში არის დეტალურად გაწერილი, თუ რა პრობლემებია გარემოსდაცვის კუთხით ჩვენს ქვეყანაში, რა პრიორიტეტებებია, ოთხწლიანი - 2012-16 წლების კონკრეტული სტრატეგიაა, ბიუჯეტით. "ნაციონალურმა მოძრაობამ" განიხილა ეს დოკუმენტი და აღიარებს, როგორც ჩვენი ქვეყნის გარემოსდაცვის სფეროში მთავარ დოკუმენტს,“ - განუცხადა გოგა ხაჩიძემ „ბათუმელებს“.

საქართველოს მთავრობის პოლიტიკა გარემოს დაცვის კუთხით არაერთხელ გამხდარა გარემოსდამცველი ორგანიზაციების კრიტიკის საგანი. განსაკუთრებით დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა 2011 წლის დეკემბრის ბოლოს საქართველოს მთავრობის მიერ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ წითელ ნუსხაში შეტანილ ცხოველებზე ნადირობის დაშვების მიზნით რამდენიმე ნორმატიული აქტის გამოცემას.

არასამთავრობო ორგანიზაციები ასევე მოითხოვდნენ დიდი ჰესების მშენებლობის პროექტების შეჩერებას. 2011 წლის 21 დეკემბერს საქართველოსა და უცხოეთის 50-ზე მეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ საქართველოს პრეზიდენტს მიმართა.

მათ მოითხოვეს საქართველოში გიგანტური და მოსახლეობისა და გარემოსთვის საზიანო ჰიდროელექტროსადგურების პროექტების შეწყვეტა, თუმცა მთავრობას ამის პასუხად არაფერი შეუცვლია, პირიქით, რიგი ჰესების მშენებლობები ნებართვების და გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის გარეშე დაიწყო.

„სამწუხაროდ, არ ვიცნობ ყველა პარტიის პროგრამას. თუმცა ვიცი, რომ „ოცნებას“ აქვს ძალიან საინტერესო პლატფორმა ჩადებული გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. ველოდები „ნაციონალებს“. მათი პლატფორმა ჯერ არ მინახავს, „ნეაპზე“ აქცენტის გაკეთება, რომ ეს იქნება წამყვანი „ნაციონალური მოძრაობისთვის“, ჩემთვის ცოტა გაუგებარია, იმიტომ, რომ "ნეაპში",



✘ მიუხედავად იმისა, რომ ბრწყინვალე დოკუმენტია, რაღაც საკითხები არ არის გარკვეული, ბუნდოვანია და დეტალიზებას საჭიროებს,“ - აცხადებს „ზათუმელებთან“ საუბარში „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრების“ თანათავმჯდომარე ნინო ჩხოზაძე.

გარემოსდაცვის კუთხით რიგი დაპირებები აქვთ „ახალ მემარჯვენეებს“. საარჩევნო პროგრამაში სპეციალურ თავს „ეკო-უსაფრთხოება“ ეწოდება, სადაც ვკითხულობთ: „...პრიორიტეტები იქნება: ბუნებრივი პროცესებისა და ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი კრიზისების თავიდან აცილება. საქართველოს ბუნებრივი გარემოს, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. გარემოს დაბინძურების საწინააღმდეგო ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავება და გატარება. ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების პრევენცია; ტყის რესურსების დაცვა...“

გარემოსდაცვით პროგრამაზე "ზათუმელებთან" „ქრისტიან დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერმა, ლევან

ვეფხვაძემ ისაუბრა:

„გარემოს დაცვის კუთხით სამ მნიშვნელოვან კომპონენტზე ვამახვილებთ ყურადღებას. ეს არის ლოკალური პრობლემები იმ საწარმოების, რომლებიც კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში - ბოლნისში, ზესტაფონსა და კასპშია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასევე მნიშვნელოვანი თემაა ნაპირსამაგრი სამუშაოები და ეკომიგრანტების თემა - პრობლემა, რომელიც უკავშირდება ჩვენი ტერიტორიების საკმაოდ დიდი ფართობების დამეწყრილობას. საჭიროა ეკომიგრანტის სტატუსის შემოღება და ამ ადამიანების სტატუსის შესაბამისი სოციალური მხარდაჭერა,“ - აცხადებს ლევან ვეფხვაძე.

"ლეიბორისტული პარტიის" მდივანმა, კახა მაგანიამ ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ მიერ ორგანიზებულ პოლიტიკურ დებატებში პასუხი გასცა კითხვებს, რომელიც პარტიის გარემოს დაცვით პოლიტიკას შეეხებოდა. კითხვაზე, როგორია „ლეიბორისტული პარტიის“ საარჩევნო პროგრამის პრიორიტეტები გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სფეროში და გეგმავთ თუ არა საკანონმდებლო ცვლილების გატარებას? კახა მაგანია პასუხობს:

„ჩვენ უკვე დიდი ხანია პარლამენტში შევიტანეთ კანონპროექტი იმის თაობაზე, რომ აიკრძალოს ტყის მასივების გაყიდვა-გასხვისება. ასევე შევიტანეთ კანონპროექტი, რომლის თანახმადაც უცხოელებზე მიწის ნაკვეთების გასხვისება აიკრძალოს, რათა ეს მიწის ნაკვეთი საქართველოს

მოქალაქემ მოიხმაროს. ეს ორი ინიციატივა ხელახლა უნდა იქნას შეტანილი. ასევე, კანონპროექტით უნდა გამოვრიცხოთ ოქროს, ქვანახშირის, მარგანეცის და მსგავსი ბუნებრივი წიაღისეულის კერძო საკუთრებაში გადაცემა. გაზისა და ნავთობის ის მწირი საბადოები, რაც გვაქვს, უნდა იყოს ექსკლუზიურად სახელმწიფო მართვის ხელში. ეს კანონპროექტები შეტანილია და, რა თქმა უნდა, ჩვენს პროგრამაშიც აისახება,“ - ამბობს მაგანია.

საარჩევნო პროგრამებში გარემოსდაცვითი კუთხით არაფერი აქვთ შემდეგ პარტიებს: „ჯონდი ბალათურია - ქართული დასი“, „ედუ - ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას“, „პოლიტიკურ პარტიას „თავისუფალი საქართველო“, „სახალხო პარტია“.

როგორი იქნება პარტიების პოლიტიკა დიდი ჰესების მშენებლობასთან და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვასთან დაკავშირებით? ამ კითხვით პარტიების წარმომადგენლებს მივმართეთ.

„ჩვენ უარს ვამბობთ დიდი ჰესების მშენებლობაზე იმიტომ, რომ მათი გავლენა გარემოზე არის ძალიან მასშტაბური და მძიმე შედეგის მომტანი, კლიმატური ცვლილებების თვალსაზრისით და ტერიტორიის დატბორვის კუთხითაც. საქართველო იმდენად პატარაა და იმდენად მრავალფეროვანი ქვეყანაა, თავისი ბუნებრივი, კულტურული მრავალფეროვნების თვალსაზრისით, რომ ნამდვილად არ გვაქვს ჩვენ იმის საშუალება, რომ ელექტროენერჯია ვაწარმოოთ დიდი ჰესების გზით, გასაყიდად, რასაც აკეთებს ხელისუფლება.“

რაც შეეხება მეორე საკითხს, წითელ ნუსხაში შეტანილ იშვიათ და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე ნადირობა არ უნდა იყოს დაშვებული, ამაზე ორი აზრი არ არსებობს,“ - აცხადებს კოალიცია „ქართული ოცნების“ გარემოს დაცვის ჯგუფის ხელმძღვანელი ლაშა ჩხარტიშვილი.

„ზოგადად „ახალი მემარჯვენეების“ პოზიცია არის ასეთი, რომ საქართველომ თავისი ჰიდრორესურსები უნდა გამოიყენოს. ჩვენს ქვეყანაში უნდა აშენდეს მცირე ჰესებიც, უნდა აშენდეს დიდი სიმძლავრის ჰესებიც, ამას წინასწარ სჭირდება ეკოლოგების და სპეციალისტების დასკვნა. ხანდახან ჩვენ მოგვიწევს გარკვეულ ტერიტორიას შეველიოთ. როდესაც გვაქვს ასეთი მდიდარი რესურსები, წარმოუდგენელია, ეს რესურსები არ გამოიყენო.“

რაც შეეხება წითელ ნუსხას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ არ შეიძლება ქვეყანამ არ იზრუნოს იმ სახეობებზე, რომელიც გაქრობის პირას არის და რომელთა შენახვაზე ჩვენ სხვადასხვა ხელშეკრულებებით ვალდებულება გვაქვს აღებული,“ - აცხადებს „ბათუმელებთან“ საუბარში "ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია.

„ბუნებრივია, ჩვენ მხარს ვუჭერთ ჰესების მშენებლობას, მაგრამ ჩვენ მხარს ვუჭერთ მცირე და საშუალო ზომის ჰესებს. ხშირად ვსაუბრობთ ნამახვანის ჰესზე, იმიტომ, რომ რიონზე იწვევს შეგუბებას და დიდ გავლენას მოახდენს არსებულ კლიმატზე. ნებისმიერი ჰესის მშენებლობა და ის გარემოს ზიანი შეიძლება მისი რელევანტურობით შეფასდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში პოზიტიურად, თუკი ეს აისახება ჩვენს ტარიფებზე. რაც შეეხება წითელ ნუსხას, არ ვარ კომპეტენტური და ვერ გიპასუხებთ,“ - განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.

რაც შეეხება მმართველი პარტიის პოზიციას ჰესებთან დაკავშირებით, „ნაციონალურ მოძრაობა“ ჰესების მშენებლობას მომავალი 20-25 წლის მანძილზე გეგმავს, ამის შესახებ გასულ კვირას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ვანო მერაბიშვილმა დუშეთის რაიონში „არაგვი ჰესის“ მშენებლობის დათვალიერების დროს განაცხადა:

„საქართველოში მომავალი 20-25 წელიწადი ჰესების ბუმი იქნება, არ გაჩერდება. აი, მაგალითად, საქართველო მსოფლიოში არის მეორე ადგილზე ერთ სულ მოსახლეზე ჰიდრორესურსებით, პირველ ადგილზეა ნორვეგია. ნორვეგიაში სულ ათვისებულია 100%, საქართველოში არის 20% ათვისებული“, - განაცხადა მერაბიშვილმა.

ჰესების მშენებლობის პარალელურად, ელექტროენერჯის საფასური საქართველოში, რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ჯერ-ჯერობით ყველაზე მცირი რჩება.

Like 16

0

Tweet 0

ამავე თემაზე:

- [ბაქრაძე: მზად ვართ დღესვე ავამოქმედოთ ის მუხლები, რაც მთავრობას აღელვებს](#) 2013.02.15
- [სერგო რატიანი: ჩვენი ხალხი არ უნდა უყურებდეს პოლიტიკოსების ჩხუბს ეთერში](#) 2013.02.13
- [ოპოზიცია ლუკა კურტანიძის დასათხოვად ღარიბაშვილს 3 დღის ვადას აძლევს](#) 2013.02.12
- [ცვლილებები მთავრობის სტრუქტურაში](#) 2013.02.12
- [რატიანი: გამოძიებასთან ვითანამშრომლებთ, რათა დამკვეთი დაისაჯოს](#) 2013.02.09
- [შიდაფრაქციული გადანაცვლება საპარლამენტო უმცირესობაში](#) 2013.02.07
- [გოკა გაბაშვილი: საპარლამენტო უმრავლესობა იდეოლოგიურად პარალიზებულია \[Video\]](#) 2013.02.07

კომენტარი